გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 130

2023 წლის 14 ივლისი
ქ. გორი

ქ. გორში, ზურაბ ანტონოვის ქუჩაზე - ზურაბ ანტონოვის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის გამზირის, ზურაბ ანტონოვისა და ბათუმის ქუჩების კვეთებთან (სამხედრო ჰოსპიტლის მხარეს) ამკრძალავი საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

ქალაქ გორში, ზურაბ ანტონოვის ქუჩის მონაკვეთი, დავით აღმაშენებლის გამზირიდან პეტრე ბაგრატიონის ქუჩამდე (სამხედრო ჰოსპიტლის სამხრეთი მხარე) წამოადგენს სიგანეში ვიწრო მონაკვეთს, ქუჩის ორივე მხარეს ავტოტრანსპორტის პარკირება ხელს უშლის ავტოტრანსპორტის მოძრაობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლა მითითებული საკითხი საქართველოს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საგზაო მოძრაობის გაუმჯობესებისა და სატრანსპორტო საშუალებების საცობების თავიდან აცილების მიზნით ქ. გორში, ზურაბ ანტონოვის ქუჩაზე - ზურაბ ანტონოვის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის გამზირის, ზურაბ ანტონოვისა და ბათუმის ქუჩების კვეთებთან (სამხედრო ჰოსპიტლის მხარეს) განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანები 3.27 - „გაჩერება აკრძალულია“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში, ზურაბ ანტონოვის ქუჩაზე - ზურაბ ანტონოვის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის გამზირის, ზურაბ ანტონოვისა და ბათუმის ქუჩების კვეთებთან (სამხედრო ჰოსპიტლის მხარეს) განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშნები 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. ქ. გორში, ზურაბ ანტონოვის ქუჩაზე - ზურაბ ანტონოვის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის გამზირის, ზურაბ ანტონოვისა და ბათუმის ქუჩების კვეთებთან (სამხედრო ჰოსპიტლის მხარეს) განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშნები 3.27-„გაჩერება აკრძალულია“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე